საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/146

ქ. ბათუმი 22 ივნისი, 2022 წელი

ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 23 ივნისის №694626 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თანდართული ფორმა **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის კოორდინატორებმა უზრუნველყოს მოკლევადიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებთან ხელშეკრულებების გაფორმება და მათი ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები" და საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტები" და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და ამავე ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორებს (ქეთევან შოთაძეს, ნინო სამნიძეს, ქეთევან ბერიძეს, თემურ ავალიანს, მამუკა გოგელიას), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

,,ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 22 ივნისის № 01-02/146 ბრძანების

დანართი №1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ,,_____“ ,,_____“ წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - **,,ბსუ**“), წარმოდგენილი რექტორის მიერ და მეორე მხრივ _____ (შემდეგში - ,,მსმენელი“)

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანია** მსმენელის მიერ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ცენტრი) უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,_____ _____“ (შემდგომში - „პროგრამა“) გავლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაცია.

2. პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს _____ ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს ბსუ-ს ანგარიშზე (ბანკის კოდი - **TRESGE 22**; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - **709017263)** პროგრამის/პროგრამის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტის შესაბამისად: _____

_____

_____

3. **მსმენელი ვალდებულია** შეასრულოს ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ცენტრის დებულებისა და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები სასწავლო პროცესთან და სწავლის საფასურთან დაკავშირებით.

4. **ბსუ ვალდებულია** შეუქმნას მსმენელს პროგრამის გავლისათვის შესაბამისი პირობები.

5. **ბსუ უფლებამოსილია** მსმენელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამორიცხოს იგი მსმენელთა სიიდან (შეუწყვიტოს მსმენელის სტატუსი), გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების გარეშე.

,,მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები“

,,ბსუ”	**,,მსმენელი”**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის	პირადი № _
ქ. №35/32	ფაქტობრ. მისამთ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158	
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge	რეგისტრ.მისამ. ----------
----------	ტელეფონი _
(რექტორის ხელმოწერა)	ელ. ფოსტა_ _
	მსმენელის ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _